

1941.



სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებითა და
განმარბულებათა

პრეპუდი

პრეპუდი
განმარბულებათა

№ 4	წელიწადი მიხუთი	1941 წ.
-----	-----------------	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ღონისძიებანი — პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენადმე მომზადების შესახებ ქალაქის საშუალო სკოლაში 2
2. დადგენილება — საქ. სსრ განსაკუთრების კოლეგიისა მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ 17

3793

ОБЪЕДИТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

გ ა ნ ს ა ხ კ ო მ ი
თ ბ ი ლ ი ს ი — 1941



ქრისტეანული

ბიულეტენი

დამტკიცებულია საქ. სსრ განათლების
საბაზო კომისარიატის კოლეგიის მიერ
1941 წ. 7 მარტს.

ლონისკიეზანი

პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენაღვე მომზადების შესახებ ქალაქის საშუალო სკოლაში

კოლეგია აღნიშნავს, რომ სკოლებში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან და დღემდე „პოლიტექნიზაცია მთელ რიგ შემთხვევებში ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ამზადებს ბავშვებს, როგორც სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებულ მშენებლებს, რომლებიც თეორიას უკავშირებენ პრაქტიკას და რომელთაც შეთვისებული აქვთ ტექნიკა“ (საკავშირო კ. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილებიდან), რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის ამხანაგ ვ. მოლოტოვის მითითების, — საშუალო სკოლის მოსწავლეებმა „მიიღონ, თუდნაც რამდენადმე, მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის“ (მოხსენებიდან XVIII პარტყრილობაზე), — შესრულება ქალაქის სკოლებში ჯერ კიდევ არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ამის მიზეზად კოლეგია სთვლის იმას რომ:

ა) მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირებისა და მოსწავლეთა მიერ ტექნიკის შეთვისების საქმეს არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები ჯერ კიდევ არ სთვლიან სკოლის ერთ-ერთ ძირითად წამყვან საქმედ.

ბ) დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლაში არსებული საშუალებების გამოყენებას, — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტების იმგვარად მოწყობის საქმეს, რომ საპროგრამო კურსის მთავარი განყოფილებანი ლაბორატორიული წესით იქნას დამუშავებული და შესწავლილი.

გ) ექსკურსიები ფაბრიკებსა, ქარხნებსა და ელექტროსადგურებში ტარდება მხოლოდ იშვიათად და ისიც ყოველგვარი გეგმის გარეშე.

დ) ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოდულების, სასკოლო ხელსაწყოების, სქემების, დიაგრამების, ტაბულებისა და სხვ. მოსწავლეთა მიერ თვითკეთების საქმეს მხოლოდ ზოგ სკოლაში აწარმოებენ და ისიც არასისტემატურად; არ არის დანერგული, ავრთვე, აღნიშნულ საგნებში პრაქტიკულ ამოცანებზე მოსწავლეთა მუშაობა.

ე) ბიოლოგიის, გეოლოგია-მინერალოგიის კურსის სწავლებასთან დაკავშირებით არ მიმართავენ ჰერბარიუმებისა და წილის სიმდიდრეთა კოლექციების შეგროვება-შედგენას.

ვ) მოუწესრიგებელია მოსწავლეთა ტექნიკური ხასიათის წრეების მუშაობა, სკოლათა დიდ ნაწილში ტექნიკური წრეები სრულიად არ არსებობს, ხოლო იმ სკოლებშიც კი, სადაც ასეთები ჩამოყალიბე-

ბულია, მათ მუშაობას საჭირო ხელმძღვანელობა არ ეწევა.

ზ) პოპულარული სასწავლო ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის საქმე სოფგავრბელია, ასეთი წიგნების ფონდი სასკოლო ბიბლიოთეკებში მცირეა და, რაც არის, მათი გამოყენებაც ხშირად არ წარმოებს მოსწავლეთა მიერ.

თ) სუსტია კავშირი ბავშვთა ტექნიკურ სადგურებსა და სკოლებს შორის, — სადგურში ლაბორატორიები ტექნიკის წამყვანი დარგების მიხედვით არ არსებობს; იმ შესაძლებლობებსაც, რომლებიც ტექნიკის შეთვისებისათვის გააჩნია სადგურებს, სკოლები ვერ იყენებენ, ბავშვთა ტექნიკურ სადგურების ლაბორატორიებში მოსწავლეთა ძალზე მცირე პროცენტია გაერთიანებული.

ი) ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა საგნობრივი კომისიების სხდომებზე მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების გარშემო კონკრეტული საკითხების განხილვა იშვიათად წარმოებს, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე არ ისმენენ მოხსენებებს ამ დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები ამ საქმეს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში შესაფერ კურადღებას არ აქცევენ.

კ) პედაგოგიური კაბინეტები და, კერძოდ, მისი სექციები ფიზიკისა, ქიმიისა, მათემატიკისა, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის, მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეში მასწავლებლობას კონკრეტულ დახმარებას ვერ უწევენ, — ლაბორატორიული მუშაობის ნიმუშების ჩვენებას არ აწარმოებენ და უმეტეს ნაწილად ზოგადი მითითებებით ამყოფილებიან.

მ) საქართველოს სსრ განსახკომის დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და ადგილობრივი განათლების განყოფილებების მიერ არ ეწევა საკმაო დახმარება სკოლებს სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეში, — ჯერ კიდევ არა-

დამაკმაყოფილებლად წარმოება მასწავლებელთა გამოცდილებების განხილვისათვის.

ნ) უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტების სტუდენტებს არ აცნობენ წარმოების ძირითად პროცესებს, არ აძლევენ ცოდნა-ჩვევებს სწავლების პრაქტიკასთან დასაკავშირებლად, პედაგოგიური პრაქტიკა და მეთოდულების სწავლება მოწყვეტილია მიმდინარე ეტაპზე სკოლის წინაშე მდგარი ამოცანებისაგან და, ყველა ამის შედეგად, უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი არაა დახელოვნებული, მისცეს საშუალო სკოლის მოსწავლეებს მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის.


კოლმეზია ალბმნს:

განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოსა და დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ წარმოდენილი „მითითებანი ქალაქის საშუალო სკოლაში ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, მათემატიკისა და ხაზვის სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ“ დამტკიცდეს.

ამ მითითებათა განსახორციელებლად გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. სკოლებში ლაბორატორიული მუშაობის მოწყობის დარგში

1. განათლების განყოფილებათა გამგებმა მიმდინარე წლის 30 მარტამდე დაწერილებით შეისწავლონ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საშუალო სკოლების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და გეოგრაფიის კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყობებით, მოწყობილობებითა და ბინებით უზრუნველყოფის მდგომარეობა, შეიმუშაონ კაბინეტ-ლაბორატორიების ბინებით უზრუნველყოფისა და მოხელსაწყო-



ბით შეესება-მოწყობის კონკრეტული გეგმა, ასიგნობანი წლიური ბიუჯეტის მე-11 და მე-12 მუხლებიდან პირველ რიგში მისცემ იმ სკოლებს, რომელთა კაბინეტები საიანა-ნადო ხელსაწყობით შეუვსებელი და მოუწყობელია და პირადი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფი კაბინეტების იმგვარად მოწყობა, რომ 1941 წლის სექტემბრისათვის შექმნილ იქნას ყველა პირობა ლაბორატორიული მუშაობის წარმოებისათვის.

2. სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მასწავლებლებმა გადასინჯონ სკოლის სამუშაო გეგმები, ამ-თავითვე მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის პროგრამების მთავარი საკითხების შესწავლა ლაბორატორიულად წარმოებდეს; გადასინჯონ პედაგოგიური საბუქოს და ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ხაზის, გეოგრაფიის და ბიოლოგიის საგნობრივი კომისიების სამუშაო გეგმები იმ მხრივ, რომ მათში გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიულ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

მასწავლებლებმა ლაბორატორიული მუშაობისა და თვალსაჩინო სწავლებისათვის სკოლაში არსებული ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ მაქსიმალურად, ხოლო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ მასწავლებელთა მიერ ამ შესაძლებლობათა რაციონალურად გამოყენებასა და ხელსაწყო-იარაღების მოვლა - პატრონობაზე.

II. სკოლაში მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა მოდელისა და თვალსაჩინო ხელსაწყობის თვითმართვის, წიადის სიმდიდრითა კოლექციებისა და პირბარისების უმდიდრესი და ტექნიკური წარმოების მოშაობის გარეშე.

1. ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა სისტემატურად აწარმოონ მუშაობა თვით-

კეთების (მოდელის, კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყობა, რელიეფური რუკების და სხვ.) ინტერესის, ჩვეულების აღსაზრდელად.

2. ბიოლოგიისა და გეოლოგია-მინერალოგიის მასწავლებლებმა, კურსის სწავლებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, შემოიღონ მოსწავლეთათვის დავალებების მიცემა ბუნების მოვლენებზე დაკვირვებების წარმოების, ჰერბარიუმების შედგენის, წიადის სიმდიდრითა, მწერების და სხვ. კოლექციების შეგროვების საქმეში და ამ დავალებათა შესრულებაზე დააწესონ სისტემატური კონტროლი.

3. თვითკეთების პრაქტიკის დანერგვისა, გავრცელებისა და განმტკიცების მიზნით, სკოლებში — სასწავლო მეთოდებისა და წლის ბოლოს, — მოეწყოს მოსწავლეთა საუკეთესო თვითნაკეთი საგნების, შეგროვილი და შედგენილი კოლექციებისა და ჰერბარიუმების გამოფენები.

4. ყველა სკოლაში იქნას ჩამოყალიბებული რადიო და ფოტომოყვარულთა, ავტომოდელისტთა, ელემენტარული ქიმიისა და სხვა სახის ტექნიკური წრეები. სკოლების დირექტორებმა შეუქმნან ამ წრეებს სათანადო მატერიალური ბაზა (სამუშაო ოთახები), წრეების ხელმძღვანელებად, მასწავლებლებთან ერთად, მიიზილონ კვალიფიციური მშობლები — სპეციალისტები და გაუწიონ სისტემატურად კონკრეტული ხელმძღვანელობა წრეების მუშაობას.

5. ტექნიკური ხასიათის პოპულარული ლიტერატურის კითხვის საქმის გადამტრით გაუმჯობესების მიზნით მოყვანილ იქნას წესრიგში სკოლის ბიბლიოთეკის ტექნიკური პოპულარული ლიტერატურის წიგნადი ფონდი, გატარდეს საჭირო ზომები ამ ფონდის შესავსებად და მიღწეულ იქნას მოსწავლეთა მიერ აღნიშნული ლიტერატურით ფართოდ სარგებლობა.

III. სასწავლო ექსპერიმენტის მოწყობის გარეშე

1. სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და ფიზიკის, ქიმიის,

ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა ერთ კვირის განმავლობაში ვადანინჯონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სამუშაო გეგმები და ავითვალიწინონ ექსკურსიათა მოწყობა ქარხნებსა, ელექტროსადგურებსა და წარმოებებში.

2. განათლების განყოფილებებმა, მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე საკითხის დასმით, მიაღწიონ შეთანხმებას ექსკურსიების ობიექტებად შერჩეული საწარმოების ხელმძღვანელებთან ექსკურსიის ჩატარებაში მათ მიერ ხელისშეწყობის შესახებ.

3. სკოლები საფუძვლიანად ემზადონ თითოეული ექსკურსიისათვის, — მასწავლებელთა მეთოდური კომისიების სხდომებზე სისტემატურად იქნას მოსმენილი ექსკურსიების ჩატარების მეთოდიკის კონკრეტული საკითხები, მიღწეულ იქნას თითოეული მასწავლებლის მიერ საექსკურსიო ობიექტის წინასწარი შესწავლა, მასწავლებლებმა ექსკურსიის გეგმა ზუსტად შეუფარდონ სასწავლო დისციპლინის პროგრამის სათანადო ნაწილს, მოსწავლეებს მისცენ შესაფერო დავალებანი საექსკურსიო ობიექტებზე დაკვირვების შესახებ და სისტემატურად აწარმოონ გაკვეთილებზე ექსკურსიების შედეგების დაჯამება და დასკვნების გამოტანა.

IV. ბავშვთა ტექნიკური სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები

1. ბავშვთა პრაქტიკული მუშაობა ტექნიკური სადგურების ლაბორატორიებში ზუსტად იქნას შეფარდებული ფიზიკისა და ქიმიის პროგრამების მოთხოვნებთან, მასწავლელთა ასაკთან და მომზადებასთან.

2. საქართველოს სსრ-ში არსებულ ბავშვთა ყველა ტექნიკურ სადგურში მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე ჩამოყალიბდეს ელექტრო-მექანიკური, ქიმიური და ავიოსამოდელო ლაბორატორიები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ავიოსამოდელო, ქიმიურ, ელექტრო-ტექნიკურ

და რადიო-ლაბორატორიების, როგორც წამყვან ლაბორატორიების, მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

3. საშუალო სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგებმა და ქიმიის მასწავლებლებმა და კლასების ხელმძღვანელებმა მტკიცე კავშირი დაამყარონ სკოლის უბანში არსებულ ბავშვთა ტექნიკურ სადგურებთან, უზრუნველყონ ბავშვთა დიდი რაოდენობით ჩაბმა სადგურების ლაბორატორიების მუშაობაში, კონკრეტული დახმარება გაუწიონ სადგურებს ლაბორატორიების მუშაობის სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანებთან მტკიცედ დაკავშირებაში და ლაბორატორიებში გაერთიანებული ბავშვების საწრაო მუშაობაზე სისტემატურად დასწრების საქმეში.

4. განათლების განყოფილებებმა გადაჭრით გააუმჯობესონ ბავშვთა ტექნიკურ სადგურებზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის საქმე. შეუქმნან სადგურებს მუშაობისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო ტექნიკური პირობები, ხშირად გამოიყვლიონ სადგურების მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშუალო სკოლებსა და ტექნიკურ სადგურებს შორის მტკიცე კავშირის დამყარებას.

V. მასწავლებელთა დახელოვნებისა და მეთოდური მუშაობის ღონისძიებები

1. განათლების განყოფილებებმა და პედაგოგიურმა კაბინეტებმა სისტემატურად შეისწავლონ სკოლებში მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების მდგომარეობა და ადგილზე აღმოუჩინონ მასწავლებლებს საჭირო დახმარება; პედაგოგიური კაბინეტების ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სექციების მეშვეობით უზრუნველყონ მასწავლებელთათვის ლაბორატორიული მუშაობის ნიმუშების პრაქტიკული ჩვენება და ამ მუშაობაში მასწავლებელთა უშუალო ჩაბმა; გაითვალისწინონ და მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრამდე განახორციელონ პედაგოგიური კაბინეტების სექციებისათვის (ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ბიოლოგიის) ბაზებად

გამოყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო იარაღ-მოწყობილობებითა და მასალებით შევსება.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ადგილებზე გაუწოის დახმარება პედაგოგიურ კაბინეტებს ქალაქის სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გარდაქმნის საქმეში, სასწავლო წლის განმავლობაში მოაწყოს პედაგოგიური კაბინეტების სექციების ხელმძღვანელთა სემინარები, ხოლო მიმდინარე წლის ზაფხულზე გაითვალისწინოს ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის მასწავლებელთა ვადამზადება.

3. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ქალაქის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის დაამუშავოს და გამოსცეს მეთოდური ხასიათის წერილები და მითითებები, ლაბორატორიებისა და სამუშაო ოთახების მოწყობილობათა კატალოგი და სხვ., სისტემატურად მოაწყოს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და გეოგრაფიის კაბინეტების მეცნიერ თანამშრომელთა მივლინება სკოლებში, შეისწავლოს და განაზოგადოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების დარგში; 1941 წლის მანძილზე გაითვალისწინოს და განახორციელოს რესპუბლიკური მეცნიერულ-პედაგოგიური თათბირების ჩატარება შემდეგ საკითხებზე; 1) სასწავლო ექსკურსიები, 2) ლაბორატორიული მუშაობა ფიზიკაში, 3) ლაბორატორიული მუშაობა ქიმიასა და მოახდინოს თათბირის შედეგების განზოგადება.

★ ★

ეთხოვოს საქ. სსრ სახკომსაბჭოს, რათა მან დაავალოს სათანადო სახალხო კომისიარიატებს (კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის; სატყეო მრეწველობის, სააღმშენებლო მასალათა მრეწველობის, მიწათმოქმედების, კომუნალური მეურნეობის, სავაჭრომობილო ტრანსპორტის), ნება დართონ სკოლებს ექ-

სკურსიების ობიექტებად გამოყენებულ საწარმოებში მოსწავლეთა სასწავლო ექსკურსიების მოწყობაზე და თავის მხრივ ხელი შეუწყონ ამ საქმეს.

2. დავეალოს საქართველოს სახლგამის თვალსაჩინო დიდაქტიკური ხელსაწყოების განყოფილებას, მტკიცე კავშირი დაამყაროს განათლების განყოფილებებთან, ზუსტად აღრიცხოს ქალაქის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება-მოწყობის საჭიროებანი და უზრუნველყოს მათი დაკმაყოფილება ხელსაწყოებით, გააფართოვოს კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყოთა შეკეთების საქმე ქ. თბილისში და სისტემატურად მოაწყოს კვალიფიციური ხელოსნების მივლინება ადგილებზე ხელსაწყოთა შესაკეთებლად.

3. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამართავლომ მიმდინარე წლის 30 მარტამდე უზრუნველყოს სკოლები ტექნიკური წრეების მუშაობისათვის საჭირო დეტულებითა და პროგრამებით, ხოლო 30 აპრილამდე შეადგინოს ბავშვთა ტექნიკური სადგურების და ლაბორატორიების წრეების პროგრამები, უზრუნველყოს მათი დაყვანა ადგილებამდე და განახორციელოს ტექნიკური სადგურების მუშაობის ხშირი გამოკვლევა და მათთვის დახმარების გაწევა.

4. დავეალოს განსახკომის უმაღლესი სკოლების სამართავლოს ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად ღონისძიებათა პროექტი უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის და გეოგრაფიის მასწავლებელთა მომზადების საქმეში არსებული დეფექტების აღმოფხვრის შესახებ.

5. კოლეგიის ეს დადგენილება მიმდინარე წლის 30 მარტამდე იქნას განხილული ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების პედაგოგიურ კაბინეტებსა და სკოლებში (პედაგოგიური საბჭოებისა და საგნობრივი კომისიების სხდომებზე), რის საფუძველზეც დასახული იქნას კონკრეტული ღონისძიებანი, ამ დადგენილების სკოლებში განხილვის საქმეში ფართო მონაწი-

ლეობა მიიღონ განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კაბინეტების მუშა-კებმა.

★ ★

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისი-რიატის კოლეგია მიუთითებს სკოლის ხელ-მძღვანელ მუშაკებსა და მასწავლებლებს, რომ ამ ღონისძიებათა გატარება უნდა წარ-მოებდეს სასწავლო დისციპლინების პროგ-

რამული მასალის მოსწავლეთა მიერ ტრადი-მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებასთან ორგანულ კავშირში, რომ „ყველა მასწავ-ცდა — მოსწყვიტონ სკოლის სპორტული სა-ზაფხულო მეცნიერებათა სისტემატურად მტკი-ცედ შეთვისებას... წარმოადგენს სკოლის პოლიტექნიზაციის იდეის ყოველად უხეშ დამახინჯებას“ (საქ. კ. პ. (ბ) ც. კის 1931 წლის 5/IX დადგენილებიდან).

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

ქალაქის საშუალო სკოლაში ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათე-მატიკის, გეოგრაფიისა და ხაზვის სწავლების პრაქტიკასთან დაკავ-შირების შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქ-ნას სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირება და ამ გზით მოსწავლეთა რამდენადმე მომ-ზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისა-თვის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათე-მატიკის, გეოგრაფიისა და ხაზვის მასწავლე-ბლებმა პროგრამული მასალის მოსწავლე-ების მიერ ღრმად, მტკიცედ და შეგნებულად შესწავლას თანმიმდევრულად დაუკავ-შირონ შემდეგი სახის სამუშაოთა ჩატა-რება.

ქიმია

VII კლასი

1. თემა „წყალი“. ექსკურსიის*) ჩატარე-ბა მინერალური და გაზიანი წყლების დამა-ზნადებელ ქარხანაში წყალში გაზების ხსნა-ლობასთან დაკავშირებით. ბ) ექსკურსია ჩა-ტარდება წყალსადენში. გაცნობა დაშავების გაფილტვრისა და სხვ. გ) საქართველოში არსებული მინერალური და სამკურნალო წყლების (თბილისის ცხელი და ცივი გოგირ-დოვანი აბანოები, წყალტუბოს რადიოაქ-

ტიური სამკურნალო წყალი, უფერისა და შოვის ნახშირორჟანგიანი და რკინოვანი წყა-როები (რაჭაში), კურსების გოგირდოვანი ტუტე წყაროები, ბორჯომის სამკურნალო წყლები, ტყვარჩელის გოგირდოვანი ცხელი წყაროები, ხვედურეთის გოგირდოვანი წყა-რო, კობის ნახშირორჟანგიანი და რკინოვა-ნი წყაროები, მენჯის გოგირდწყალბადოვა-ნი და რადიოაქტიური სამკურნალო წყალი, საირმეს მინერალური წყალი, სვანეთის წყლების და სხვ.), მინერალური და სამკუ-რნალო წყლების გამოყენების გაცნობა. დ) ლაბორატორიული სამუშაო: სხვადასხვა მი-ნარევისაგან გაბინძურებული სუფრის მა-რილის გასუფთავება (გახსნის გაფილტვრისა და ამოშრობის ჩვევების გამომუშავება).

2. თემა „ქანგბადი და წყალბადი“. რკი-ნის შესაღწეობი სახელოსნოების დათვალიე-რება, — ქანგბად-აქტიულებისა და წყალ-ბად-აქტიულების ალის გამოყენება პრაქტი-კაში და ასეთი ალის მისაღები აპარატის გაცნობა.

3. თემა „ცნება ელემენტების შესახებ“. ა) ექსკურსიები ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ელემენტთა და მათი ნაერთების საბადოების (Mn — ჭიათურაში, თაბაშირი და ალუბასტრი — რაჭაში, მთის ბროლი — რაჭაში და ქიზიყში, ბარიტი — ქუთაისის მახლობლად, ოქრო — სვანეთში,

* ამ მიზნითებაში აღნიშნული ექსკურსიებიდან სკოლამ უნდა შერჩიოს ისეთი ექსკურსიები, რომელთა ჩატარების შესაძლებლობაც მას აქვს.

რკინა — ჩათახში (ბოლნისის ხეობა), შილიბდენი—რაჭაში, სპილენძი — დედოფორაჯთან, ან კახეთში არტანუჯთან და სხვ.) დათვალეობა — გაცნობა. ბ) ექსკურსიის ჩატარება სახელმწიფო და სამხარეთმცოდნეო მუზეუმში და უმაღლეს სასწავლებელთა მინერალოგიის, გეოლოგიისა და ქიმიის კაბინეტებში სხვადასხვა ელემენტისა და მათი ნაერთების გაცნობის მიზნით.

4. თემა „ჟანგვა-აღდგენა“. ექსკურსების ჩატარება წარმოებაში და სამანქანო-სატრანსპორტო სადგურებში სხვადასხვა ბირთვ-მანქანის დაქანგვისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაცნობის მიზნით, ნელი ჟანგვის გაცნობასთან დაკავშირებით საგარეუბნო მეურნეობის სათბურების აგებულების გაცნობა.

5. თემა. „ჟანგულები, ფუჭები, მჟავები და მარილები“. ექსკურსიის ჩატარება: ა) შაბიამნის დამამზადებელ ქარხნებში, ტექნოქიმში და ქიმიკომბინატში (სპილენძის ნარჩენების გამოყენება შაბიამნის დასამზადებლად). ბ) გლაუბერის მარილის (საბადოების დათვალეობა-გაცნობა (მუხროვანში, სოფ. ახამებურში (მალხაზოვკაში) და აგრეთვე მლაშე ტბები თბილისის მიდამოებში).

ლაბორატორიული სამუშაო: მლაშე ტბების წყალში მარილთა რაოდენობის განსაზღვრა.

VIII კლასი

2. თემა „მალოგენები“. მოკლე ცნობების მიცემა იმის შესახებ, რომ: ა) საქართველოს ნავთობის ჰაბურდილების წყლებში ზოგიერთ ადგილას არის ბრომი და იოდი, რომელსაც ახლო მომავალში შეიძლება სამრეწველო ხასიათი მიეცეს. ლაბორატორიული სამუშაო: ნავთობის ჰაბურდილების წყლებში ბრომისა და იოდის მარტივი ხერხით აღმოჩენა. ბ) ქლორის გამოყენება წყალსადენებში წყლის გასასუფთავებლად (ძველი და ახალი წყალსადენი, ქალ. თბილისი). გ) მარილმკვავის ქარხნის დათვალეობა (ქალ. თბილისში), მარილმკვავის ქარხ-

ნული წესით მიღების გამარტივებულ და ნაღვარის დამზადება. დ) მათეობები ქარის გამოყენება სანაგვე ყუთებზე სადგურ-ფექციოდ და სხვ.

3. თემა „სხნარები“. ლაბორატორიული სამუშაო: სხვადასხვა ნვთიერების პროცენტული მოლეკულური და ნორმალური სხნარების დამზადება.

4. თემა გოგირდი“. ა) ექსკურსიის ჩატარება რეზინის საეულკანიზაციო წარმოებაში. ბ) ექსკურსიის მოწყობა ღვინის, შაქრის, შამპანიურის და ხილფაფის (პოვიდლო) ქარხნებში პარაზიტების საწინააღმდეგოდ გამოყენებულ საშუალებათა გასაცნობად (გოგირდოვანი ვაზით შებოღვის გაცნობასთან დაკავშირებით). გ) გოგირდმკვავის გამოყენება შაქრის წარმოებაში შაბიამნის დამზადების საქმეში, ნავთობის გაწმენდისათვის, საღებავების დამზადებაში და სხვ.

5. თემა „აზოტი და ფოსფორი“.

ა) აზოტმკვავის მარილების: Na NO^2 , KNO_3 , $\text{NH}_4 \text{NO}_3$ და $\text{Ca (NO}_3)_2$ მიღება განეიტრალების გზით ლაბორატორიაში და მათი სხნადობის შესწავლა. ბ) აზოტოვან და ფოსფოროვან სასუქებში აზოტისა და ფოსფორის აღმოჩენა (მარტივი წესით) და მათი სხნადობის შესწავლა.

IX კლასი

1. თემა „ნახშირბადი და სილიციუმი“.

ექსკურსიის ჩატარება: ა) ტყვარჩელის და ტყბულის ქვანახშირის მალარობებში ბ) ნახშირორქანის დამამზადებელ ქარხნებში, გ) მინის დამამზადებელ ქარხანაში, დ) კალციუმის კარბონატის და ჰიდროკარბონატის შესწავლასთან დაკავშირებით სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების საბადოების გაცნობა. ე) მშრალი ყინულის დამამზადებელ ქარხანაში, ვ) ცემენტის ქარხანაში.

ლაბორატორიული სამუშაო: ხის მშრალად გამოხდა და მთავარი პროდუქტების დაგროვება; ცეცხლჩამქრობი აპარატის გაცნობა (სახანძრო რაზმში). და მისი მომქმედი მოდელის დამზადება; ნახშირის გააქ-

ტივება და მისი გამოყენება აირწინაღებში, შაქრისა და ქვადენის მკვას წარმოებაში.

2. თემა „ტუტე და მტუტო მტალები“. ა) ლაბორატორიული სამუშაო: სოდის დამზადება; ბ) ექსკურსიის ჩატარება კირის გამოსაწვევ ქარხნებში; გ) ექსკურსიის ჩატარება ლიტონის ქარხანაში (ბარიუმის შესწავლასთან დაკავშირებით).

3. თემა „სპილენძი“. ექსკურსიის ჩატარება სპილენძის, შაბიამნისა და სპილენძის სატყვე ქარხანაში.

ლაბორატორიული სამუშაო: შაბიამნში კრისტალიზური წყლის განსაზღვრა.

4. თემა „კრომი და მაგნიუმი“. ექსკურსიის ჩატარება ფერომაგნიუმის ქარხანაში.

5. თემა „რკინა“. ა) ექსკურსიის ჩატარება რკინის სულფატის (მძლის) დამამზადებელ ქარხანაში. ბ) რკინის მადნის საბადოების დათვალიერება. გ) ექსკურსია თუჯისასხმელ ქარხანაში. დ) ექსკურსიის ჩატარება „ცენტროლიტის“ ქარხანაში.

ლაბორატორიული სამუშაო: რკინის სულფატში კრისტალიზური წყლის განსაზღვრა.

X კლასი

1. თემა „ნახშირწყალბადები“ ა) ნორიომარტყოფის, სუფსა-ომფარეთის, შირაქის, ნავთლულის, ელდარის, ჩათმის და ფხოველის ნავთის საბადოების დათვალიერება-გაცნობა. ბ) ნავთობის კრეკინგის ქარხნის დათვალიერება-გაცნობა.

ლაბორატორიული სამუშაო: ნავთობის წილაღური გამოხდა.

2. თემა „სპირტები და ფენოლები.“ ა. სპირტის, ღვინისა, კონიაკის, შაბპანურის და ლუდის დამამზადებელი ქარხნების დათვალიერება-გაცნობა.

ლაბორატორიული სამუშაო: ღვინის ლუდის, არაყის და კონიაკის სიმპარის ხარისხის გარკვევა.

3. თემა „აღდეშიდები და კეტონები“. ა) პლასტმასთა (გალოლიტის და ცელულოიდის) ნივთების დასამზადებელი ქარხნების

დათვალიერება-გაცნობა. ბ) ფორმალინით დეზინფექციის პროცესის გაცნობისთვის ექსკურსიის ჩატარება სადღეინფექციის მერებში.

4. თემა „რთული ეთერები და ცხიმები“. ა) მარგარინის ქარხნის დათვალიერება-გაცნობა. ბ) საპნის ქარხნების დათვალიერება-გაცნობა.

5. თემა „ნახშირწყლები“. ა) შაქრის ქარხნის დათვალიერება-გაცნობა. ბ) ქაღალდის ქარხნის დათვალიერება-გაცნობა. გ) სასამებლის საბადაო ქარხნის დათვალიერება-გაცნობა. დ) პურის საცხობი, მაკარონის და მალტოზას დამამზადებელი ქარხნის დათვალიერება-გაცნობა. ე) სასურსათო ქიმიის ლაბორატორიების დათვალიერება-გაცნობა. ვ) საკანდიტრო ფაბრიკების დათვალიერება. ლაბორატორიული სამუშაო: საყვებ პროდუქტთა (კარტოფილი, ფქვილი, რძე) უმარტივესი ანალიზი.

6. თემა „ნიტრონაერთების შემცველის ორგანიული ნივთიერებანი“. ექსკურსიების ჩატარება: ა) ხელოვნური საღებავების დამამზადებელ ქარხანაში, ბ) სამღებრო ქარხნებში, გ) სამკურნალო ნივთიერებათა დამამზადებელ ქარხანაში, დ) წებოს დამამზადებელ ქარხანაში ე) რძის დამამუშავებელ ქარხანაში, ვ) სოიოს გადამამუშავებელ ქარხანაში, ზ) ნაყინვის დამამზადებელ ქარხნებში.

ლაბორატორიული სამუშაო: წებოს დამამზადება.

ფიზიკა

VI კლასი

1. თემა „სიგრძის და მოცულობის გაზომვა“. ა) ვარკიში თვალზომის განვითარების მიზნით სიგრძის, ფართობის და მოცულობის გაზომვაში. ბ) ფართობის მეტრული საზომები. გ) ნონიუსის და მიკრომეტრის გაცნობა.

2. თემა „სიმძიმის ძალა და კუთრი წონა“. ა) რკინიგზებზე გადასაზიდი საშენი მასალის კუთრი წონის გაცნობა: მარმარილო, ტუფი, აგური, ბეტონი, ქვა, კირქვა, ქვანახ-

შირი, მატყლი, შეშა, ბამბა, თივა და სხვ. ბ) კუთრი წონის გამოყენება ტექნიკაში.

2. თემა „წინევა“. ა) ხერხის კბილის დაწოლა, დანების გაღვსვა, ლურსმნის დარქობა, ფუტკრის და კოლოს ნესტარი. ბ) არეომეტრები: შაქარზომები, ლაქტომეტრები, სპირტომეტრები. გ) შადრევანი, წყაროები. დ) გზებისა და ქუჩების დასატყევი მანქანები.

4. თემა „დეფორმაცია“. ტრამეის გაკეების გაკვივა, დინამომეტრის გაკვივა, რკინის და ხის კოქების მოღუნვა.

5. თემა „ხახუნის ძალა“. მუწარუქები რკინიგზაზე, ტრამეაზე, ფურგონზე.

6. თემა „ძალის მუშაობა“. სხვადასხვა სახის ამწეების გამოყენება მშენებლობაზე და წარმოებაში.

7. თემა „ენერჯია“. ორთქლის ურო.

8. თემა „მარტივი მექანიზმები“. ა) პოლისპასტები, ბ) რკინის საჭრელი მაკრატელი, გ) მარტივი მექანიზმების ჩვენება რთულ მანქანებში, ამწეზე, საკერავ მანქანებზე, ორთქლის მანქანებზე (ექსკურსიის დროს).

9. თემა „სითბოგამტარობა“. მეტალის დერობი.

VII კლასი

1. თემა „სითბო უნარიანობა“. საკვები პროდუქტების კალორიანობა.

2. თემა „აორთქლება და აორთქლებით გამოწვეული ვაცივება“. სითხეების ვაცივება სერეთიდან ჭურჭლებში.

3. თემა „ნივთიერების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა“. ა) თუჯის გაფართოების თავისებურება. ბ) მანქანების ნაწილების თუჯიდან ჩამოსხმა.

4. თემა „დუღილი“. შაქრის წნევის დუღილი შემცირებული წნევის ქვეშ შაქრის ქარხანაში. წნევის გადიდება სამედიცინო ინსტრუმენტების სტერილიზაციის დროს (ავტოკლავებში).

ელექტროობა

1. თემა „ელექტრიზაცია“. ა) ხეხვით გამოწვეული ელექტრიზაციის მაგალითების რი-

ცხვის გადიდება: მინა, ქალაღი, კაუჩუკი, ებონიტი, მეტალი. ბ) გამტარების და იზოლატორების გამრავლების მაგალითები. გ) ელვის გამოყენება ანტირელოგიუზო განდისათვის. დ) მეხამრდი.

2. თემა „ელექტროდენი“. ა) გაღვანური ელემენტის შედგენა (გერნეს და ლექლანშესი). ბ) ელექტროზარის გაყვანა.

3. თემა „ელექტროზაროდენობა, დენის ძალა“. მონიკელება და სპილენძით დაფერვა.

4. თემა „გამტარის წინააღმდეგობა“. ა) სადენების იზოლაციის სხვადასხვა სახე შენობის და ნაგებობის პირობების მიხედვით: სარდაფში, აბანოში, საცხოვრებელ ბინაში, წყალში, მიწის ქვეშ, ჰაერში.

5. თემა „ელექტროდენის კანონები“. ა) გადამწვარ დამცველში საცობის გამოცვლა ქსელში. ბ) საცობში ძნელადდნობადი მავთულების ჩართვის შედეგები. გ) ელექტრომადულარის წინააღმდეგობის გაანგარიშება და მადულარის დამზადება. დ) უთოში და ელექტროლუმენში გადამწვარი მავთულის გამოცვლა. ე) ელექტრონათურის ბეწვის წინააღმდეგობის გაანგარიშება. ვ) მოკლე ჩართვის მავნე შედეგები. ზ) ელექტროენერჯის მრიცხველი დახარჯული ენერჯის გამოშოვა.

6. თემა „მაგნეტიზმი და ელექტრომაგნეტიზმი“. ა) სხვადასხვა პროდუქტის გაწმენდა რკინის ნამცეცებისაგან, მაგალითად, ჩაის (ელექტრომაგნიტით), ბ) რკინის მადნის სხვა მინერალებისაგან გამოყოფა ელექტრომაგნიტით. გ) ელექტრომაგნიტის გამოყენება მედიცინაში (თვალიდან რკინის ნამცეცის ამოღება).

7. თემა „ელექტრომაგნიტური ინდუქცია“. ა) უახლოესი სატრანსფორმატორო ქვესადგურის დანიშნულება. ბ) რაიონული სატრანსფორმატორო ქვესადგური.

სინათლე

1. თემა „სინათლის გავრცელება, არეკლვა და გადატება“. ა) მზისა და მთვარის დაბნელების ახსნასთან დაკავშირებით ანტი-

რელიგიური პროპაგანდა. ბ) ჰელიოგრაფის და ფოტოგრაფიის გამოყენება სამხედრო საქმეში.

2. თემა „დისპერსია“. ა) წითელი სხივების თვისებების გაცნობასთან დაკავშირებით ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა (რატომ მშვიდდება წითელ სინათლეზე წითელათი დაავადებული ბავშვები). ბ) ცისარტყელა და ანტირელიგიური პროპაგანდა მისი ახსნის დროს.

VIII კლასი

1. თემა „სწორხაზოვანი ძრავა“. სიჩქარის მაჩვენებელთა მნიშვნელობა ქალაქის ტრანსპორტში.

2. თემა „სხეულთა ვარდნა“. ა) ფორმის და მასის მნიშვნელობა სხეულთა ჰაერში ვარდნის დროს. ბ) მოძრაობის დროს ჰაერის წინააღმდეგობასთან ბრძოლა. გ) ზღვრულ სიჩქარე სხეულების ჰაერში ვარდნის დროს. დ) ბარამუტის გამოყენება.

3. თემა „ხახუნი“. ა) ხახუნის შემცირების ტექნიკური საშუალებანი. ბ) ხახუნის შემცირება ლილვის ყელის დიამეტრის შემცირებით (ბურთულა საკისურები). გ) ხახუნის გადიდება ტრამვაის ხაზზე, ძრავების ღვედებზე, ტანკებზე.

4. თემა „სიმძიმის ცენტრი“. სიმძიმის ცენტრის მდებარეობა გემების და სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვის დროს.

5. თემა „მარტივი მექანიზმები“. ჯალამბარი, დომკრავი, ათწილადი სასწორი (აგებულება და გამოყენება).

ჰიდრო და აეროდინამიკა

1. თემა „სითხეებში და გაზებში წნევის გადაცემა“. ა) ჰიდრავლური წნეხის გამოყენება ქარხნებში, მაგალითად, მეტალების დატყევის (გაბრტყელების დროს). ბ) „ეპრონი“-ის მუშაობა.

2. თემა „ატმოსფეროს წნევა“. ა) ატმოსფეროს შესწავლა აეროზონდების საშუალებით. ბ) ორმაგქმედების ტუმბოები—ვორტინგტონისა. გ) ღრმა ტუმბოები. ნავთობის ამოსატუმბავად.

3. თემა „გაზების და სითხეების მოძრაობა“. ბერნულის პრინციპი.

4. თემა „ბრუნვითი ძრავა“. ცენტრიკუმენის წონის გადიდება პიკინგის დროს.

IX კლასი

1. თემა „რხევითი ძრავა“. სიესმოლოგიური სადგურის გაცნობა, თბილისში—ექსკურსია.

2. თემა „გაზების თვისებანი. ბოილ მართის კანონი“. ა) აეროსტატების და აეროზონდების გაზებით გავსების საშუალებანი. ბ) ჰაერის მუხრუჭები (ტრამვაიში) და ჰაერის ურო.

3. თემა „კაპილარობა“. ა) ბინების დაცვანილაგის სინოტივისაგან (გაფისული მუყაოს და ცერეზეტის გამოყენება). ბ) წყლის ფილტრაცია წყალსადენში, შაქრის წნევის ფილტრაცია შაქრის ქარხანაში. ვ) ფლოტაცია.

4. თემა „კონდენსაცია“. ა) გასაცივებელი კარადები. ბ) ექსკურსია სამაცივრო ქარხანაში. გ) თხევადი ჰაერი და მისი გამოყენება. დ) დაბალტემპერატურათა მიღების ახალი მეთოდები.

ე) ექსკურსია ხელოვნური ნახშირორჟანგის მისაღებ ქარხანაში. ვ) ექსკურსია სტალინის სახელობის ქარხანაში (სითბური მანქანების შესწავლის მიზნით).

X კლასი

1. თემა „ელექტროდენის კანონები“. ა) ელექტროტყელის გაყვანა. ბ) გადამრთველები და მათი დაყენება. გ) ელექტრული სარჩილავი. დ) ელექტროტყელის სიმძლავრის განსაზღვრა. ე) ყინულმჭრელთა დაცვა შემოყინვისაგან ელექტროდენის საშუალებით.

2. თემა „მაგნიტური და ელექტრომაგნიტური ველი“. ა) ელექტრომაგნიტების გამოყენება წარმოებაში და გემებზე. ბ) თანამედროვე ტელეგრაფი. გ) ელექტროზარი ნუმერატორით. დ) მაგნიტური ნაღმების გამოყენება სამხედრო ტექნიკაში.

3. თემა „ელექტრო მაგნიტური რხევები

და ტალღები“. ა) დეტექტორული მიმღების აგებულება. ბ) სატრანსლაციო ქსელის გაცნობა. გ) თანამედროვე რადიომიმღებით სარგებლობა. დ) ექსპურსია—თბოელექტროცენტრალებსა და ჰიდროელსადგურებში. სინათლე მუხის ძრავები.

ბიოლოგია

ქალაქის სკოლებმა ბიოლოგიის სწავლებაში ძირითადად უნდა იხელმძღვანელონ საქ. განათლების სახალხო კომისარიატის № 5502 ბრძანებაზე დართული მითითებებით ბიოლოგიის თემების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ.

ამ მითითებათა მიხედვით ქალაქის სკოლებმა უნდა ჩაატარონ მუშაობის ის სახეები, რომლებიც შეეფერება ქალაქის პირობებში გავრცელებულ მცირე ზომის მიწის ნაკვეთს ანდა ცოცხალი ბუნების კუთხეს.

მაგალითად, მცენარის თესლის გაცნობასთან დაკავშირებით შეიძლება ვაწარმოოთ:

1. გაწმენდილი და ხარჯიანი თესლის თესვა,
2. დახარისხებული და დაუხარისხებელი თესლის თესვა,
3. შეწამლული და შეუწამლავი თესლის თესვა.

მუშაობის ეს სახეები წარმატებით შეიძლება იქნას ჩატარებული მცირე ზომის მიწის ნაკვეთზეც, უკიდურეს შემთხვევაში—ბუნების ცოცხალ კუთხეშიც.

მითითებებში მცენარის თესლის გაცნობასთან დაკავშირებული მუშაობის დანარჩენი სახეები ნავარაუდევია სოფლის სკოლებსათვის, რომელთაც სასკოლო მიწის ნაკვეთზე მუშაობა უფრო დიდი მასშტაბით შეუძლიათ აწარმოონ. ასეთი მუშაობის ჩასატარებლად ქალაქის სკოლებს არა აქვთ სათანადო ბაზა. ამიტომ ეს მუშაობა ქალაქად ვერ შესრულდება.

მითითებათა ამ თვალსაზრისით განხილვა ცხადს ხდის, რომ ისეთი მუშაობა, როგორც არის, მაგალითად, „სკოლის რაიონში გავრცელებული მავნე მწერების წინააღმ-

დეგ ხმარებულ ბრძოლის საშუალებათა გაცნობა და ელემენტარული ხერხების დაცვლება“. ქალაქის პირობებში განუხორციელებელია. მეორე მხრივ, ქალაქის სკოლის პირობებშიც სავსებით დასაძლევია ის სამუშაო, რომელიც მოცემულია მითითებებში ფრინველთა გაცნობასთან დაკავშირებით, სახელდობრ, „მარტივი ინკუბატორის გაცნობა და ინკუბაციის ჩატარება სკოლაში“.

ამ ორი მაგალითის მიხედვით თითოეულ ქალაქის სკოლას შეუძლია განსაზღვროს, თუ რის შესრულება ჩაეთვალოს მის სავალდებულოდ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, სოფლის სკოლებისათვის მიცემული მითითებებიდან.

მათემატიკა

I-V კლასებში

არითმეტიკა

I-V კლასებში არითმეტიკის სწავლების დროს მოსწავლეებს მიეცეს პრაქტიკაში გამოყენება-გამოანგარიშებათა საჭირო ჩვენები, როგორცაა:

1. ზეპირი ანგარიშის ხერხები (შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და ამოცანების ზეპირად ამოხსნა).
2. მეტრული სისტემის გაცნობა და გამოყენება, (აწონვა, გაზომვა: სიგრძის, ფართობის, მოცულობის და ტემპერატურის).
3. გაზომვისა და გამოანგარიშების დროს მიღებული რიცხვების დამრავლება პრაქტიკული საჭიროების მიხედვით.
4. პროდუქციის რაოდენობის გამოანგარიშება დროისა და არსებული ნორმების მიხედვით.
5. ხელფასის გამოანგარიშება განაკვეთისა და გამომუშავებული პროდუქციის მიხედვით, როგორც მთელი წარმოებისათვის, ისე ბრიგადებისა და ცალკე მუშებისათვის.
6. წარმოების გეგმის შესრულება პროცენტებში. როგორც მთელი წარმოების, ისე ცეხების, ბრიგადების და ცალკე მუშების.
7. მოწინავე მუშის (სტახანოველი, დამკვრელი) მიერ შესრულებული სამუშაოს გამოსახვა პროცენტებში.

8. შრომის ნაყოფიერების ზრდა პროცენტებში.

9. წარმოების მექანიზაციის ასახვა არითმეტიკულ ამოცანებში. მაგ., მექანიზირებული და არამექანიზირებული შრომის პროდუქციის რაოდენობათა შედარება.

10. არსებული ნორმის მიხედვით საჭირო სხვადასხვა მასალის რაოდენობის გამოკვლევა დასამზადებელი პროდუქციის მიხედვით.

11. სამჭროების ფართობისა და მოცულობის გამონაკარიშება და სამუშაო ადგილის განაწილება მანქანებისა და მუშა ხელის რაოდენობის მიხედვით და პირიქით.

12. წარმოების დამახასიათებელ რიცხვითს მასალაზე დიაგრამების შედგენა და წყიათხვა.

13. საანგარიშეს გამოყენება რიცხვების შეკრება-გამოკლებისათვის .

14. მიახლოებითი გაზომვისა და გამონაკარიშების ჩვევები; თვალსაზრისით, მტკაველით და ნაბიჯებით გაზომვა და მათი გამოსახვა მეტრში, დეციმეტრში, სანტიმეტრში.

15. მოქმედვანი მიახლოებითს რიცხვებზე (ელემენტარულად, V კლ.).

16. წარმოებაში საჭირო საზომი ხელსაწყობების გაცნობა და გამოყენება (შიგზომი, კრონფარგალი, შტანგენფარგალი, მიკრომეტრი და საზომი შიშშია).

17. სწორხაზოვანი ნაკვეთების ელემენტების გაზომვა და ფართობის გამონაკარიშება (სამკუთხედი, პარალელოგრამი, ტრაპეცია და მრავალკუთხედი); პრიზმული სხეულების მოცულობათა გამონაკარიშება II რიცხვის გაცნობა ექსპერიმენტულად—წრეხაზის სიგრძე, წრის ფართობი, ცილინდრის და კონუსის მოცულობა.

18. ნივთიერების კუბური ერთეულის წონისა და სხეულის მოცულობის მიხედვით მთელი წონის გამონაკარიშება; სხეულის წონისა და მოცულობის მიხედვით წონაკუთრის გამონაკარიშება.

IV-X კლასები

ალგებრა

1. არითმეტიკაში შესწავლილი წესების განზოგადება-გაღრმავებას (მოქმედებათა შე-

რულების კანონების განზოგადება, კომპონენტებსა და შედეგებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება, ამოცანების ამოხსნის კერძო და ზოგადი ფორმების გამოყენება, პროცენტული გამონაკარიშებანი, წილადყოფიციენტის განოსახლებავზე მოქმედებათა შესრულება, ალგებრულ გამოსახულებათა რიცხვითი მნიშვნელობის პოვნა, განტოლების ფესვების შემოწმება, განსაკუთრებით, როდესაც ფესვები წილადი უარყოფითია, შემოკლებული გამრავლების ფორმულების გამოყენება გამონაკარიშების დროს და სხვ.).

2. სხვადასხვა ცხრილების პრაქტიკულ გამოყენებას (გამრავლება, ახარისხება, ამოფესვა, პროცენტები, წრეხაზის სიგრძე და წრის ფართობი, ნატურალურ ტრიგონომეტრიული და ლოგარითმული ცხრილები).

3. თვალსაჩინო-პრაქტიკული ხელსაწყობების გამოყენებას (ლოგარითმული შიშში, არითმომეტრი, გრაფიკები-დიაგრამები. შემოკლებული გამრავლების ფორმულირების მოდელები და სხვ.).

4. რეალური შინაარსის ამოცანების შედგენას და ამოხსნას (ანალიზური და გრაფიკული ხერხებით, მიღებული ფესვების გამოკვლევას როგორც ანალიზურად, ისე გრაფიკულად).

გეომეტრია - ტრიგონომეტრია

გეომეტრია ტრიგონომეტრიის სწავლების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას კუთხის, მანძილის, ფართობისა და მოცულობის გაზომვა-გამონაკარიშების ელემენტარული ხერხების გამოყენება, მავალითად:

1. სიგრძის საზომი იარაღების გაცნობა და გამოყენება (რულეტი, ჯაჭვი და სხვ.), მიწაზე სწორი ხაზის გავლება და გაზომვა.

2. მიწის ნაკვეთის ფართობის გაზომვა-გამონაკარიშება (სკოლის ეზო, ბაღი, საკლასო, ოთახები და სხვ.).

3. მოცულობის გაზომვა-გამონაკარიშება (საკლასო ოთახები, სკოლის შენობა, აუზი, კასრი, ყრილი, ბრძმედი, ქვაბი, ცისტერნა და სხვ.).

4. არაპირდაპირი გაზომვის ჩვევების მიღება (მოცულობის მიხედვით წონის გაგება).

5. მორების, შუშის და საშენი მასალის კუბატურის გამოანგარიშება.

6. პრაქტიკული ხელსაწყოების გაცნობა-გამოყენება (მკუთხავი, თარაზო, ტრანსპორტირი, განივი მასშტაბი, პროპორციული ფარგალი, ეკერი, ასტროლიაბი, სიმაღლმზომი, თეოდოლიტი და სხვ.).

7. ვერტიკალური საგნის (ხის, შენობის და სხვ.) სიმაღლის გამოანგარიშება, როდესაც მის ძირთან მისვლა შეუძლებელია.

8. ვერტიკალური საგნის სიმაღლის გამოანგარიშება, როდესაც მის ძირთან მისვლა არ შეუძლებელია.

9. ორ წერტილს შორის მანძილის გაზომვა, თუ ერთი მათგანი მიუვალა.

10. მანძილის გაზომვა ორ მიუვალ წერტილს შორის.

11. ადგილის დახრილობის კუთხის გამოანგარიშება.

12. დედამიწის მოცულობის, პირეულის და მისი კვეთის ფართობების გამოანგარიშება.

შენიშვნა. ეს გეოდეზიური ამოცანები (მე-7, 8, 9, 10, 11 და 12) თავის დროზე უნდა იქნას ამოხსნილი როგორც გეომეტრიის, ისე ტრიგონომეტრიის გამოყენებით.

მატემატიკის სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკურ დისციპლინათა შორის მჭიდრო კავშირს და მათემატიკის გამოყენებას სხვა დისციპლინებში (ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, სამხედრო საქმე, ხაზვა და სხვ.), რისთვისაც სისტემატურად უნდა წარმოებდეს სათანადო ფორმულების ამოხსნა მასში შემავალი ასოების მიმართ.

ამათ ვარდა, ამოცანების შედგენისას მასწავლებლებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ გამოქვეყნებული გეგმების რიცხობრივი მასალები სახალხო მეურნეობის შესახებ.

გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა, სკოლისა და წარმოების პრაქტიკაში ბევრი მოიპოვება ისეთი საკითხი, რომლის ვადასაწყვეტად მათემატიკის გამოყენება აუცილე-

ბელია. ზემოთ დასახელებულია ზოგიერთები, როგორც ნიმუშები, დანარჩენს კი მასწავლებელი საჭიროების მიხედვით შეარჩევს თვითონ.

გეოდეზია

გეოგრაფია

V კლასი

1. თემა „ორიენტირება და გეგმა“

ა) მოსწავლეთა მიერ სკოლის ეზოს აგეგმვა, ქალაქის მიკრორაიონის აგეგმვა და მისი შედარება არსებულ გეგმასთან.

ბ) სკოლის მდებარეობის გამორკვევა რაიონსა და ქალაქში.

გ) ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და სხვა ქალაქების მდებარეობის განსაზღვრა.

დ) ქალაქის გეგმის გაცნობა; სხვადასხვა ობიექტის გამორკვევა და პოვნა გეგმაზე; მანძილის გაზომვა მოცემული მასშტაბის მიხედვით. თვალსაზრისით აგეგმვა და მუშაობა ტოპოგრაფიულ გეგმაზე და რუკაზე—მუშაობა კომპასზე ორიენტირებისათვის.

2. თემა „დედამიწის ზედაპირის ფორმები“

ექსკურსიის ჩატარება ქალაქის მიდამოებში იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლეები გაეცნონ მახლობელ ვაკეებსა და მალლობებს, მათ აგებულებას; ადგილობრივ მთის ძირითადი ქანების გაცნობა და კოლექციების შედგენა.

3. თემა „წყალი დედამიწაზე“

ა) სისტემატური დაკვირვება მდინარის ან ქის რეჟიმზე. დაკვირვება ტემპერატურაზე, წყლის დონის რყევადობაზე.

ბ) დაკვირვება ქალაქის მახლობლად არსებულ ტბებზე და ქაობებზე; მათი ზრდა, განვითარება, შემცირება და მათი დაშრობა.

4. თემა „აბმოსწორი“

ა) სკოლის ეზოში პატარა მოცულობის მეტეოროლოგიური სადგურის მოწყობა.

ბ) სისტემატური დაკვირვება ამინდზე; დღეღამის, თვიური და წლიური საშუალო ტემპერატურის გამოთვლა, ქარის ძალის და მიმართულების გამორკვევა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობის გამორკვევა და სხვ.

გ) კავშირის დამყარება ამინდის ბუტროსთან და ადგილობრივ მეტეორულ მოწყობილ მეტეოროლოგიურ სადგურთან, მაგ., თბილისის ობსერვატორიასთან და დასწრება მათ მიერ წარმოებულ დაკვირვებაზე და ჟუმლის შედგენაზე.

VI კლასი

VI კლასში გეოგრაფიის საპროგრამო მასალის დამუშავების დროს მოსწავლემ უნდა ისარგებლოს მხარეთმცოდნეობის მასალებით, მაგალითად, ქვეყნის ნაწილების პავის შესწავლის დროს, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ სადგურთან კავშირის დამყარებით, გრაფიკებისა და სქემების შედგენა, ტემპერატურისა, ნალექთა რაოდენობის, ქარების დინებების, მეტეოროლოგიური მოვლენების სქემატური აღნიშვნა მოსწავლეთა კონტურულ რუკებზე და სხვ.

მცენარეებისა და ცხოველების შესწავლის დროს უნდა იქნას ჩატარებული ექსკურსია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ზოოპარკში, ბოტანიკურ ბაღში, სამხეცეში და სხვ.

სასურველია სკოლის გეოგრაფიის კაბინეტში მოეწყოს პატარა კუთხე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მსგავსად.

VII კლასი

ამ კურსის შესწავლის დროს ჩატარებულ უნდა იქნას მუშაობა სსრ კავშირის კონტურულ რუკაზე, აღნიშვნა მასზე მთების, ქედების, დაბლობების, ზეგნების, მდინარეების, ტბების, მთავარი მინერალური რესურსების და სხვ. სასურველია მოსწავლეთა მიერ დამზადებულ იქნას დიაგრამები ცალკეული დარგების მიხედვით. მოსწავლეებს ევალებათ წიაღის სიმდიდრეთა და სხვა ობი-

ექტების პირობითი ნიშნების შესწავლა და მათი გამოყენება კონტურულ რუკაზე.

VIII კლასი

ქართული
ენების
სწავლის
პროგრამა

VIII კლასის კურსის შესწავლის დროს უნდა ვეცადოთ, რომ მოსწავლეები მიეჩვიონ სსრ კავშირის ფიზიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, კლიმატურ, ბუნებრივი ზონებისა და სხვა რუკების გამოყენებას. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დარგობრივი მიმოხილვის დროს უნდა მოეწყოს ექსკურსიები, მაგალითად:

ა) სადეიქრო მრეწველობის განხილვის დროს თბილისის აბრეშუმისა და მუდის საქსოვ ფაბრიკებში, ქუთაისის მუდის ფაბრიკაში და სხვ.

ბ) კვების მრეწველობის განხილვის დროს ექსკურსია უნდა მოეწყოს საქონსერვო, ჩაის და გემო-კვების მრეწველობის და სხვ. ფაბრიკებში.

გ) ქიმიური მრეწველობის განხილვის დროს უნდა მოეწყოს ექსკურსია ქიმიურ ქარხნებში.

დ) მანქანათმშენებლობის განხილვის დროს უნდა მოეწყოს ექსკურსია ქალაქ თბილისის 26 კომ. სახ. ქარხანაში, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში და სხვ.

ე) სოფლის მეურნეობის განხილვის დროს ეწყობა ექსკურსია ქალაქის მახლობლად მდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; მაგალითად, ქ. თბილისში ექსკურსია შეიძლება მოეწყოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში, ავქალის კოლმეურნეობებში და სხვ. ექსკურსია უნდა მოეწყოს აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

ვ) საბჭოთა კავშირის ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების განხილვის დროს მოსწავლეებმა კონტურულ რუკებზე უნდა აღნიშონ საზღვრები, ქალაქები, წიაღის სიმდიდრეების, მდინარეების და რკინიგზების განლაგება.



IX კლასში გეოგრაფიის კურსის შესწავლის დროს მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ კონტურული რუკები, სადაც აღინიშნება კაპიტალისტური ქვეყნების საზღვრები, მდინარეები, წილის სიმდიდრენი, მთავარი ქალაქები, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მთავარი რაიონები.

ხაზვა

VI კლასი

მართკუთხა ფირფიტები, კვადრატული და მართკუთხა ამონაკრებით, ძელებსა და კოჭების განიკვეთი, მცოცი ხის ძელების შეერთებათა უმარტივესი ნიმუშები, მართკუთხა პარალელოპიპედის ფორმის საგნების ესკიზი, მასშტაბის აღნიშვნა ნახაზზე (სტანდ. 7538).

VII კლასი

ტექნიკური ესკიზების და ნახაზების სტანდარტების მიხედვით შედგენა ისეთი საგნებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ პრიზმების ან პრიზმულ სხეულების ცილინდრულთან შეხამებას, მანქანათა მარტივი დეტალების გამოხაზვა ნატურიდან ფრონტალურ ირიბკუთხა პროექციაში, ტექნიკური ნახატის მიხედვით ნახაზის წაკითხვა, ნახაზის წაკიხვა ორი მოცემული პროექციის მიხედვით მესამის აგების გზით.

ტუმის ხმარება, კუთხეების აგება და კუთხური რკინის (სტანდარტული სახეების) პროფილების გამოხაზვა, შეუღლებული ხაზები და იმ ტექნიკური დეტალების გამოხაზვა ტუმით, რომელთა მოხაზულობა სწორი ხაზებისა და რკალების შეუღლებას წარმოადგენს, ხაზვაში მიღებული პირობითი ნიშნების გაცნობა (არქიტექტურული, ტექნიკური მოწყობილობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნების) კლასის, საცხოვრებელი ოთახის, ბინის ან სართულის ნაწილის ესკიზი და ნახაზი, იმ მოდელებისა და მანქანათა დეტალების ესკიზების აღება და ესკიზის მიხედვით ნახაზის გამოხაზვა, რომელნიც წარმოადგენენ პრიზმის, ცილინდრის, პირამიდის, კონუსური სხეულების კომბინაციას.

IX კლასი

პროექცია 2-სა და 3 სიბრტყეზე, მეორე რიგის მრუდეთა გამოხაზვა, აქსონომეტრული ხაზვა, ტექნიკური ნახატების გადაღება ნატურიდან, ესკიზების შედგენა და ესკიზების მიხედვით ნახაზების კეთება, დეტალების გამოხაზვა.

X კლასი

კონუსის კვეთები, მეორე რიგის მრუდების, ხრახნილი ხაზის, ხრახნილკუთხედის, ჰანზიკის, ქანჩის, საყელურის და სხვ. ტექნიკური მოწყობილობათა პირობით აღნიშვნა (სტანდარტების მიხედვით), ახართული ტექნიკური დეტალების ესკიზების და ნახაზების შედგენა.



მოსწავლეთა მთავრობის კულტურის ამაღლების ღონისძიებების შესახებ

საქართველოს სსრ განსახორციელების კოლეგიის დადგენილება

1941 წლის 1 აპრილს.

კოლეგია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის შესახებ მიღებულ დადგენილებათა საფუძველზე საგრძნობლად იქნა გარდაქმნილი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება, რის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეთა ზეპირი და წერილი მეტყველების კულტურის დონე.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა ჯერ კიდევ არაღმარაგაყოფილებლად მუშაობს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის; საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საკმაო დიდი ნაწილი ვერ ახერხებს დამოუკიდებელ მსჯელობას, წაკითხულის დალაგებით გადმოცემას და ზეპირსა და წერითს მეტყველებაში უშვებს უხეშ ორთოგრაფიული და სინტაქსური ხასიათის შეცდომებს.


მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ჩამორჩენის ძირითად მიზეზებად კოლეგიას ის მიიჩნია, რომ:

ა) მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის საფუძვლიანად დაუფლებული საგანს, საკმაო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებას და ზოგჯერ თვით უშვებს ენობრივ შეცდომებს. ასევე, სხვა საგნის მასწავლებლებიც არ აქცევენ ყურადღებას მოსწავლეთა მეტყველებას და მოსწავლისაგან არ მოითხოვენ საგნის ცოდნასთან ერთად გამართული ენით პასუხს. სკოლაში სუსტადაა დაყენებული სალექსიკონო მუშაობა; გრამატიკის სწავლება ხშირად წარმოებს განყენებულად — სასაუბრო მეტ-

ყველებისა და ლიტერატურული მასალები-საგან მოწყვეტილად, საკმაო პრაქტიკული ვარჯიშობის გარეშე. არ არის დაცული წერით სამუშაოთა სახეების მრავალფეროვნება. საკლასო წერა ზოგჯერ დაუშვებლად მცირე რაოდენობით ტარდება და ნაწერების გასწორებასა და შეფასებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. არ ხდება სამინაო წერითი ნამუშევრების განხილვა-გასწორება. განსაკუთრებით ჩამორჩება კლასგარეშე კითხვა — არ ექცევა ყურადღება მოსწავლეებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავებას.

ბ) სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები სუსტად ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეს. განათლების განყოფილებანი და პედაგოგიური კაბინეტები კონკრეტულ მეთოდურ ხელმძღვანელობას არ უწევენ სკოლებს მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეში, არ აზოგადებენ საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილებას და არსებულ ჩამორჩენის გამოსასწორებლად არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს.

გ) სკოლები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო სახელმძღვანელოებითა და დამხმარე მასალებით: დღემდე არ არსებობს პრაქტიკული საეარჯიშო კრებული ქართულ ენაში და სახელმძღვანელოები ლიტერატურაში და პოეტიკაში; მცირეა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, მისი ტირაჟი; მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამები ზოგიერთ ნაწილში გადატვირთულია.



დღემდე არ არის დამუშავებული და გამოცემული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და კლასგარეშე კითხვის მეთოდები. ჯერ კიდევ არ არის სკოლები უზრუნველყოფილი საკმარის რაოდენობის დიდაქტიური მასალებით, სურათებით, პლაკატებით, ტაბულებით, სქემებით.

დ) არადამაკმაყოფილებლად წარმოებს დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადება პედაგოგიურ სასწავლებლებში. უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სასწავლო გეგმებში ენაზე სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო რაოდენობის საათები არ არის გათვალისწინებული; ხშირად უმაღლესი სკოლა ვერ აძლევს სტუდენტებს საკმარის მეთოდურ მომზადებას.

არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მოსწავლეთა მეტყველების კულტურის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით კოლეგია ადგენს:

1. ქართული ენის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველ კლასებიდანვე. მასწავლებელთა სისტემატური მუშაობით უზრუნველყოფილ იქნას სწორი ხელის, სწორი, შეგნებული და გამომეტყველებითი კითხვის ჩვენების გამოყენება; ამ ჩვენებათა შემდგომ გარმავება-განმტკიცებაზე არ იქნას ყურადღება შენელებული საშუალო სკოლის უკანასკნელ კლასებშიც.

მოდერულ იქნას V-VII კლასების მოსწავლეებში ნაწარმოების შინაარსის მხატვრულად გადმოცემის, დამოუკიდებელი, თანმიმდევრული თხრობის მაღალი კულტურის გამოქვეყნება. ამ მიზნით გრამატიკის სწავლება მტკიცედ დაუკავშირდეს სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას; გაკვეთილებზე ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიური მასალები — სურათები, სქემები, ცხრილები, ტაბულები და სხვ.

VIII-IX-X კლასებში ლიტერატურის სწავლებისას სისტემატურად წარმოებდეს V-VI-

VII კლასებში შესწავლილი გრამატიკული მასალის გამოკრება — სტილისტიკური სიათის ვარჯიშობა, მწერლის ენის შესწავლა და სხვ. გამრავალფეროვანდეს წარმოების მათა სახეები, გადიდდეს წერით სამუშაოთა რაოდენობა ცალკე კლასების მიხედვით. შემოწმებითი საგამოცდო წერითი ნამუშევარი, როგორც მოსწავლის აკადემიური წარმატების დოკუმენტი, დაცულ იქნას მოსწავლის პირად საქმეში.

სათანადო ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა საშინაო წერით ნამუშევართა გასწორებასა და შეფასებას.

სავნობრივმა და საკლასო მეთოდურმა კომისიებმა სისტემატურად განიხილონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები რაოდენობის, ნაირსახეობისა და ხარისხის თვალსაზრისით.

2. სკოლის ღირეჭტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კლასგარე კითხვას: სისტემატურად შეივსოს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი საქართველოს და მოძმე საბჭოთა მწერლების ახალი ნაწარმოებებით, მოწესრიგდეს წიგნების დარგობრივად დალაგებისა და მათი გამოყენების საქმე, ქართული ენის მასწავლებლებმა, ბიბლიოთეკართან ერთად, სკოლაში არსებულ წიგნთა ფონდიდან შეადგინონ ცალკე კლასებისათვის კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია და მოსწავლეთა მიერ წიგნების კითხვა და გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

3. დავალოს სკოლის ღირეჭტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) დააწესონ მტკიცე ზედამხედველობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მუშაობაზე, სისტემატურად დაეწიონ მათ გაკვეთილებს, შეამოწმონ ხოლმე მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები და მთავარაგონ სკოლა თვალსაჩინო მასალებით (სქემებით, პლაკატებით, სურათებით, ცხრილებით).

ბ) მიიღწონ იმას, რომ ყველა კლასისა და სავნის მასწავლებელი გაკვეთილზე და საუბრის დროს თვითონ ძლეოდეს წერითი და ზეპირი მეტყველების საუკეთესო ნიმუშს და

ამავე დროს მასწავლებლობა ერთიანი ფორმით იბრძოდეს ვაკეთილზე და სკოლაში მოსწავლეთა წერიით და ზეპირი მეტყველებების სისწორისა და სიწმინდისათვის.

გ) მოაწესრიგონ სკოლაში ორთოგრაფიული რევიზის დაცვის საქმე; მტკიცედ დაიცვან ენის სიწმინდე საქმის ქაღალდებში, სკოლის კედლის გაზეთებში. სკოლაში გაკრულ პლაკატებში, ლოზუნგებში. განცხადებებში, მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების სხდომების ოქმებში და სხვ.

4. ქალაქებისა და რაიონების განათლების ტანყოფილებათა გამგეებმა, პედაგოგიკურებთან ერთად, სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეს: შეამოწმონ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობა, მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების მდგომარეობა, სკოლის დირექციისა და მთელი კოლექტივის ღონისძიებანი მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეში; შეამოწმონ ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის განზოგადება მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დაუფლების დარგში (ღია ვაკეთილების ორგანიზაცია, მოხსენებები, კონსულტაციები და სხვ.).

5. 1941/42 წლის განმავლობაში დაშადდეს და გამოიცეს დაწყებითი არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის შემდეგი სახელმძღვანელოები:

- ა) ქართული ენის სახელმძღვანელო — III-IV კლასისათვის;
- ბ) ლიტერატურის სახელმძღვანელო — VIII კლასისათვის;
- გ) ლიტერატურის სახელმძღვანელო — IX კლასისათვის;
- დ) ლიტერატურის სახელმძღვანელო — X კლასისათვის;
- ე) პოეტიკის სახელმძღვანელო — VIII, IX-X კლასებისათვის.

გამარტივდეს არასრული საშუალო სკოლის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღ-

ვანელო, შეივსოს ის პრაქტიკული საგარჯიშოებით და გამოიცეს ორ წიგნად ცალკე V-VI და VII კლასებისათვის. V, VI, VII კლასების ქართული ლიტერატურის ქრესტომათიებში შეტანილ იქნას ლიტერატურის პროგრამით შესასწავლად გათვალისწინებული მხატვრული თხზულებების სათანადო ანალიზი, მოკლე განმარტებანი; ქრესტომათიათა გამოცემა ამ სახით უზრუნველყოფილ იქნას 1942 წლის პირველი სექტემბრისათვის.

6. შედგენილ იქნას და 1941, 1942 და 1943 წლების განმავლობაში გამოიცეს შემდეგი მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო წიგნები მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის:

- ა) ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით სკოლაში;
- ბ) ქართული ენის სწავლების მეთოდიკა V, VI, VII კლასებში;
- გ) მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა საშუალო სკოლის V-X კლასებში;
- დ) კლასგარეშე კითხვა დაწყებით სკოლაში;
- ე) კლასგარეშე კითხვა V-VII კლასებში;
- ვ) კლასგარეშე კითხვა VIII-X კლასებში.

7. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საყვლემა ინსტიტუტმა და საქართველოს სახელგამის ბიბლიოტეორმა მიმდინარე წლის 30 აპრილამდე უზრუნველჰყონ კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული სარეკომენდაციო სიების გამოცემა.

8. ამ დადგენილების მეოთხე და მეხუთე მუხლებში ჩამოთვლილ წიგნებზე —

- ა) ქართული ენის სახელმძღვანელო III-IV კლასებისათვის, ბ) ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით სკოლაში, გ) კლასგარეშე კითხვა VIII-X კლასებში დი
- დ) მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა საშუალო სკოლის V-X კლასებში, გამოცხადდეს დახურული კონკურსი.

პოეტიკის სახელმძღვანელოდ შეირჩეს საუკეთესო იმ სამი წიგნიდან, რომლებიც უკვე წარმოდგენილია განსახკომში, და-

ნარჩენ წიგნებზე შერჩეულ იქნას ავტორთა კოლექტივები მეცნიერმუშაკთა და საუკეთესო პრაქტიკოს მასწავლებელთა რიგებიდან.

განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ, დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავოს დახურული კონკურსის პირობებში, შეარჩიოს ეიური კონკურსისათვის და ავტორები იმ წიგნების შესადგენად, რომელთა კონკურსი არ არის გათვალისწინებული; გადასინჯოს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მშობლიური ენის პროგრამები, მათი გამარტივების მიზნით, დაამუშაოს ენასა და ლიტერატურაში საჭირო დიდაქტიკური მასალებისა და ხელსაწყოების — სურათების, პლაკატების, ტაბულების, სქემების, სავარჯიშოების ნიმუშები.

9. საქართველოს სახელგამმა და საქართველოს განსახკომის დიდაქტიკურ ხელსაწყოთა წარმოებამ უზრუნველჰყონ ამ დიდაქტიკური მასალებისა და ხელსაწყოების გამოცემა საჭირო რაოდენობით.

10. განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველომ 30 აპრილამდე მოიწვიოს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორთა, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანებისა და ქართული ენის კათედრების გამგეთა თათბირი, სადაც დაამუშავდეს ღონისძიებანი უმაღლეს პედაგო-

გიური სასწავლებლებში ქართული ენისა და ქართული ენის მეთოდის სწავლების გამჯობესებისა და საერთოდ ჰეტუდენტთა მეტყველების კულტურის ამაღლებას დაღონისძიებთა შესახებ.


11. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ შეადგინოს და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებთა გატარებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

12. ქურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთმა „საბჭოთა მასწავლებელმა“ სისტემატურად გააშუქონ მოწინავე მასწავლებელთა და მოწინავე სკოლების საუკეთესო გამოცდილება, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის აღზრდის საქმეში.

13. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა მიმდინარე წლის აპრილის თვეში მოიწვიონ სკოლების დირექტორების (გამგებების), სასწავლო ნაწილის გამგებებისა და მოწინავე მასწავლებლების რაიონული და საქალაქო თათბირები, თათბირებზე განიხილონ ეს დადგენილება და დასახონ ორგანიზაციული ღონისძიებანი მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

14. დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორებმა (გამგებმა) ეს დადგენილება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და უზრუნველჰყონ მისი ცხოვრებაში გატარება.

მ/გ. რედაქტორი ბ. კიზირია



ხელმოწერილია დასაბუქდად 1941 წ. 12/V ფორმატი 8x12

ქალაქის ზომა 70x105 ფორმათა რაოდენობა 1/2, სასტამბო ნიშნთა რაოდენობა ფორმაში 80.000.

ტირაჟი 3000, შეგვება № 773, უფ20048

სტამბა გამბა „ზარია ვოსტოკისი“, რუსთაველის პრ., 36.

Тип. „Заря Востока“. Тбилиси, Руставели, 36.

Заказ № 718. Тираж 3000